საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ანგარიში

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე:

ოქმი #4 19.02.2018

2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის გარდამავალი ნაშთი შეადგენდა 485310.78 ლარს, მ.შ:

1. 332459.40 ლარი - ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები და სხვა);
2. 120833.24 ლარი - რუსთაველი სამეცნიერო ფონდი;
3. 32018.14 ლარი - საერთაშორისო გრანტები (მ.შ.CASEDE – 55,12 ლარი; DARE – 27055.52 ლარი ; DOIT – 4907.50 ლარი).

სულ 2017 წლის შემოსავალმა შეადგინა 3333363,04 ლარი: მ.შ:

1. 1086596,00 ლარი - სწავლის საფასური (ჩარიცხული უშუალოდ სტუდენტის მიერ);
2. 1824294.23 ლარი - საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო გრანტის (ვაუჩერული დაფინანსება) სახით მიღებული;
3. 65550,00 ლარი - სახელმწიფო სასწავლო სტიპენდია
4. 36555,42 ლარი - სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები;
5. 8076,00 ლარი - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების საფასური;
6. 35000,00 ლარი - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების აღჭურვისათვის გამოყოფილი დაფინანსება (პერსონალური კომპიუტერების შესაძენად);
7. 30403,40 ლარი - პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტისათვის - ,,თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 1 ჰექტარი ფართობის კვლევითი დანიშნულების ვენახის გაშენება“ მიღებული თანხა;
8. 30027,88 ლარი - CNFA საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პროექტის ,, ტრენინგები აგრონომიაში" დაფინანსება;
9. 43382,77 ლარი - საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში მიღებული დაფინანსება (მ.შ.UNISON - ,,ერასმუს +“ პროექტის ფარგლებში - 26047,99 ლარი; LeAGUe პრექტის - ,,უწყვეტი განათლების სივრცის განვითარება საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში“ ფარგლებში - 17334,78 ლარი);
10. 27868,30 ლარი - „სწავლისა და სწავლების აკადემიური ინტეგრაცია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში „ ACADEMIC INTEGRITY FOR QUALITY TEACHING AND LEARNING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN GEORGIA” (“INTEGRITY”)” ფარგლებში;

11. 14219,66 ლარი - სს საქართველოს ბანკის მიერ დეპოზიტზე არსებული თანხების კაპიტალიზაცია;
12. 61,38 ლარი - ჯარიმა (სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პირობების გადაცდენისთვის);
13. 131328,00 ლარი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში;

2017 წლის გადასახდელებმა შეადგინა 3066366,54 ლარი. მ.შ.

- ,,შრომის ანაზღაურების მუხლით“ – 1702335,45 ლარი, შტათით მომშავეთა ხელფასი;
- ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურება“ – 677792,86 ლარი (მ.შ საათობრივი ანაზღაურება მოწვეული პედაგოგების და ხელშეკრულების წესით);
- ,,მივლინებები“ – 7996.80 ლარი (მ.შ. ქვეყნის შიგნით - 7996.80 ლარი, ხოლო ქვეყნის გარეთ - 0 ლარი);
- ოფისის ხარჯები“ – 166589,90 ლარი (კომუნალური გადასახადები: ბუნებრივი აირი, ელ. ენერგია, კანალიზაციის, დასუფთავების, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი, სამეურნეო მასალები, საკომუნიკაციო, ინტერნეტმომსახურების, საფოსტო მიმსახურების, მცირე სარემონტო სამუშაოების და სხვა);
- ,,წარმომადგენლობითი ხარჯები“ – 2364,20 ლარი (სტუმრების მირება-გამასპინძლების და საჩუქრების ხარჯი);
- ,,სამედიცინო ხარჯები“ – 941,34 ლარი;
- ,,რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 3489,00 ლარი;
- ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები“ – 24430,90 ლარი (საწვავი, საპოხი მასალები, შეკეთება, ავტონაწილები, ტრანსპორტის დაქირავება);
- ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ – 43608,30 ლარი (რეკლამის ხარჯი, სამეცნიერო და სხვა მასალების ბეჭდვა, კონფერენციების და სესიების ხარჯი და სხვა);
- სოციალური უზრუნველყოფა:
    - სოციალური უზრუნველყოფა ფულადი ფორმით 347,73 ლარი (დეკრეტული შვებულება და სხვა):
- სხვა ხარჯების მუხლით 2017 წელს გახარჯულია 152695.78 ლარი. მ.შ:
    - სავადო გადასახდელები ბიუჯეტში (ქონებიდან,მოგებიდან,მიწის) – 68413,59 ლარი;

- სტუდენტური თვითმმართველობის ხარჯი – 15044,81 ლარი (სპორტული და კულტურული ღონისძიებები, ჯილდოების და პრიზების ხარჯი; ექსკურსიის მოწყობის ხარჯები);
- სახელმწიფო სასწავლო სტიპენტიები წარჩინებულ სტუდენტებს - 65550-00 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- მოსაკრებლები - 3687,59 ლარი;

- არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 6701.50 ლარი. მ.შ:
  - სხვადასხვა ინვენტარი - 2618 ლარი;
  - სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 4386 ლარი (კომპიუტერული ტექნიკა);
  - სხვა ძირითადი აქტივები - 2946,50 ლარი.

2017 წელს საერთაშორისო CNFA- საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის - ,, ტრენინგები აგრონომიაში" ფარგლებში, ტრენინგები ჩაუტარდათ კახეთის რეგიონის წარმომადგენლებს აგრონომიაში, რომლის ფარგლებშიც დაფინნასებული და გახარჯული იქნა 30027,88 ლარი. მ.შ:

- ტრენერების ხელფასი - 21300,00 ლარი;
- ტრანსპორტირების და ტრენინგების ჩასატარებად სხვადასხვა მასალების შეძენა - 8727,88 ლარი.

2017 წელს უნივერსიტეტში ხორციელდებოდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მიერ დაფინანსებული სამი პროექტი:

- ,,საფრთხეში მყოფი ენები და მათი დოკუმენტირების სასიცოცხლო მნიშვნელობა (წოვათუშურის მაგალითზე)"(საგრანტო ხელშეკრულება #217850);
- "XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემის (VIII-IXტომები)" (გრანტი 217906);
- „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“ (გრანტი #DP2016_18).

აღნიშნული პროექტების ფარგლებში 2017 წელს გახარჯულ იქნა 146355,20 ლარი. მ.შ:

- გრანტის მიმღები ძირითდი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის მომსახურების ხარჯი 92247,57 ლარი;
- საქონელი და მომსახურება (მივლინებები ქვეყნის შიგნით და გარეთ, მასალების ბეჭდვა, საკომუნიკაციო მომსახურება, მცირეფასიანი ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები და სხვა) – 33199,64 ლარი;
- არაფინნასური აქტივები (პორტატული კომპიუტერები და სხვა) – 20908,00 ლარი.

ასევე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით 2016 წელს მიმდინარეობდა სამეცნიერო პროექტი - ,,თელავი - ისტორია და თანამედროვეობა (მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის პირველი ოცწლეული), აღნიშნული პროექტში 2017 წელს გახარჯულია იანვრის თვის პროექტის მონაწილეების ანაზრაურება - 1225 ლარი და დაიბეჭდა მასალები, რომელმაც შედგინა - 1699.55 ლარი.

2017 წელს საქართველოს პრეზიდენტის ფონდის მიერ დაფინანსდა პროექტი - ,,თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 1 ჰექტარი ფართობის კვლევითი დანიშნულების ვენახის გაშენება", რომლის დაფინანსებაც მოიცავს 2017 და 2018 წლებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2017 წელს გახარჯულ იქნა 30403,40 ლარი, რომელიც მოხმარდა უნივერსიტეტის კუთვნილი 1 ჰექტარი ფართობის მოხვნას და დამუშავებას ვენახის გასაშენებლად, ასევე დასამუშავებლად საჭირო სხვადასხვა ინვენტარის და მანქანა-დანადგარების, მათ შორის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის შეძენას.

ამასთანავე 2017 წელს უნივერსიტეტის მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. აღნიშნული პროექტების ფარგლებში ჩარიცხული დაფინანსებიდან გახარჯულ იქნა პროექტის მონაწილეების სამივლინებო და შრომის ანაზრაურების ხარჯები- 67361,80 ლარი. მ.შ:

- LLL- „უწყვეტი განათლების სივრცის შექმნა სომხეთში, უკრაინასა და საქართველოში"(LeAGUe) " A Network for Developing Lifelong Learning in Armenia, Georgia and Ukraine " 543839-TEMPUS-1-2013-1-SE-TEMPUS-SMHES . აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაცემულ იქნა - 17334,78 ლარის შრომის ანაზრაურება პროექტის მონაწილეებზე;
- "უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამების შემუშავება მოწყვლადი ჯგუფებისა და რეგიონებისათვის" „Developing programs for Access of disadvantaged groups of people and Regions to higher Education" - DARE. 561547-EPP-1-2015-1-IL-EPPKA2-CBHE-JP (2015-2951/001-001), რომლის ფარგლებსიც დაფინანსდა სხვასდასხვა ქვეყნებში პროექტის მონაწილეების მივლინება - 8012,87 ლარი; შრომის ანაზრაურება - 10750,75 ლარი; ასევე უნივერსიტეტისთვის შეძენილ იქნა სერვერი, რომლის ღირებულებამაც შეადგინა - 5230,00 ლარი;
- ERASMUS+ ის ფარგლებში პროექტის - UNISON (university-enterprise cooperation via spin off companies network) - მონაწილეების სხვასდასხვა ქვეყნებში დაგეგმილ შეხვედრებზე მივლინების ხარჯი - 24179,60 ლარი, ხოლო შრომის ანაზღაურება - 1853,80 ლარი.

უცხოეთიდან მიღებული გრანტების ფარგლებში ჩუქების სახით გადმოგვეცა 21486,54 ლარის ღირებულების ტექნიკა და წიგნები. მ.შ:

1. 16314,54 ლარის ღირებულების ტექნიკა(ნოუთბუქი, პრინტერი, პროექტორი და სხვა) პროექტის - DECERPH- „სამედიცინო და ფუნდამენტურ მეცნიერებებში

ჰემატოლოგიისთვის სასწავლო პროგრამების დამუშავება და რეგიონალური პლატფორმის შექმნა (DECERP)“ The development of a curriculum and establishment of a regional training platform for haematology in medical and fundamental Sciences “ 544282-TEMPUS-1-2013-1-UK-TEMPUS-JPC - ფარგლებში;

2. 4572 ლარის ღირებულების ტექნიკა და 600,00 ლარის ღირებულების წიგნები - პროექტის - LLL- „უწყვეტი განათლების სივრცის შექმნა სომხეთში, უკრაინასა და საქართველოში“(LeAGUe) " A Network for Developing Lifelong Learning in Armenia, Georgia and Ukraine ” 543839-TEMPUS-1-2013-1-SE-TEMPUS-SMHES - ფარგლებში;
3. ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების და კერძო პირების მიერ საჩუქრის სახით გადმოცემულ იქნა 1185 ლარის წიგნები და ბროშურები.

2018 წლის 01 ინვრისათვის უნივერსიტეტის სახაზინო ანგარიშებზე ნაშთი შეადგენდა 752307,29 ლარს.

1. 575593,85 ლარი - ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები და სხვა);
2. 27868,30 ლარი - „სწავლისა და სწავლების აკადემიური ინტეგრაცია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში „ ACADEMIC INTEGRITY FOR QUALITY TEACHING AND LEARNING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN GEORGIA” (“INTEGRITY”)” ფარგლებში;
3. 35000.00 ლარი - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის;
4. 105806.03 ლარი - რუსთაველი სამეცნიერო ფონდი;
5. 8039.11 ლარი - საერთაშორისო გრანტები (მ.შ. CASEDE – 55.12 ლარი; DARE – 3061.90 ლარი; UNISON – 14.59 ლარი; DOIT – 4907.50 ლარი).

2017 წლის დეკემბერში სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის ჩარიცხული 35000,00 ლარით უნივერსიტეტი შეიძენს დამატებით 29 პერსონალურ კომპიუტერს, რომლითაც აღიჭურვება ახალი კომპიუტერული კლასი და განახლდება არსებული კლასები.

2017 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ინტენსიურად საქმიანობდა ფინანსების მართვის, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორცილების მიმართულებით.

შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძებები, კერძოდ: საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის

უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძებებში სტუდენტთა მონაწილეობა.

შეფერხების გარეშე ფინანსდებოდა სამეცნიერო კონფერენციები და სხვა.

უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 10 ელექტრონული ტენდერი, დაიდო 248 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ და დაიდო 5 ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში.

უნივერსიტეტის სასაწყობე მეურნეობა უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგებას საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო ინვენტარით და ხდებოდა მათი განაწილება დადგენილი წესის მიხედვით. ხორციელდებოდა სისტემატური კონტროლი სასაწყობო მეურნეობაზე, მატერიალური ფასეულობების მარაგზე და ამოწურვის შემთხვევაში დროული რეაგირება.

ადგილობრივი რესურსით შერემონტდა მესამე სასწავლო კორპუსის რამდენიმე უადიტორია და პირველ სასწავლო კორპუსის რამოდენიმე ოთახი, მათ შორის სტუდენტური თვითმმართველობის.

2017 წელს უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ქსელის - ,,სენი"-ს ფარგლებში ჩატრებულ კონკურსში - ,,გაამწვანე შენი უნივერსიტეტი", რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის გამარჯვებული სტუდენტთა გუნდისათვის გარემონტდა და აღიჭურვა აუდიტორია, უნივერსიტეტის მესამე სასწავლო კორპუსში.

2017 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოიცა 2439 ბრძანება, კანცელარიაში გატარდა: 4383 განცხადება, 4298 სამსახურებრივი ბარათი, 28 მემორანდუმი, 43 ხელშეკრულება, 3 აქტი, 4 გზავნილი, 4 სასამართლო უწყება, 20 შეტყობინება; გაიცა 619 ცნობა, 8 მინდობილობა; ასევე გატარდა 192 შემოსული წერილი, 606 შიდა წერილი და გაიგზავნა 612 გასული კორესპონდენცია.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის უფრო მაქსიმალური სიზუსტით დაგეგმვაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება წინა წლების გამოცდილება.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: მზია მაისურაძე